ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 25 ივნისი, 2021 №114 (8643) ფასი: 60 თეთრი

## მამუკა კვალიაშვილი: „რომ ვთქვი, მოვკლავ-მეთქი, პოლიცია დამეცა სახლში“

სპეცოპერაცია მოხისში




გვ.5

## ვაჟა გორდიაშვილი: „მიწები კანონიერად შევიძინე“

# „არ მჯერა, რომ სააკაშვილ-გახარიას შეხვედრა შემთხვევით მოხდა“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ამერიკაში გახარიას მიმართ ინტერესი ბევრად მაღალია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ“



## „ოპოზიციამ სასწრაფოდ უნდა განაახლოს ბოიკოტი“



გვ.4



ბეჟან ნათელაშვილი: „ლეიბორისტული პარტიის დასჯა არ შერჩებათ“

„უახლოეს მომავალში ან ქოცები ჩაიძირებიან, ან ჩაიძირება საქართველო“

## „ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს!“



დავით კირკიტაძე: „გახარიას და სააკაშვილის შეხვედრა არ ყოფილა, ამას ისინი ავრცელებენ, ვინც ჯერ ეტრფოდნენ გახარიას და ახლა ტალახს ესვრიან“

გვ.3





მურმან დუმბაძე: „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტი დასაქმების ორგანოდ აქცია“

გვ.4



## „პარლამენტში ოპოზიციის შესვლას მე მხარს არ ვუჭერდი“

ISSN 1987-9385

3 ღარიბაშვილი: „კოვიდრეგულაციების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები ყველას ჩამოეწერება“

2 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება

5 პოლიციელი გიორგი პატიაშვილი: „ნიკა მელიამ ხალხს მოუწოდა, უნდა ვიყოთ პარლამენტის შიგნითო“

6 ისრაელმა ციფრული შეკელი გამოუშვა

# „არ მჯერა, რომ სააკაშვილ-გახარიას შეხვედრა შემთხვევით მოხდა“

## მამუკა გამყრელიძე: „ამერიკაში გახარიას მიმართ ინტერესი ბევრად მაღალია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, დიდი ამბები მოჰყვა ვაშინგტონში გახარია-სააკაშვილის შესაძლო შეხვედრის ამბავს. გახარიამ უკვე დაადასტურა, რომ ერთ სასტუმროში იმყოფებოდნენ, თუმცა თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ერთმანეთს არ შევხვედრივართო. რამდენად გჯერათ ამ კონსპირაციული შეხვედრის? ვითომ ყველაფერი დამთხვევაა?***

– დამთხვევების ნაკლებად მჯერა. ბოლოს და ბოლოს, სხვა სასტუმროში შეიძლებოდა გაჩერება, მაგრამ, აი, არის მაგრამ...

***– ხომ შეიძლება ასეც ვივარაუდოთ, რომ გახარიას „გასაფუჭებლად“ გაუშვეს სააკაშვილი. ამას უშვებთ?***

– ყველაზე ბოლოს ჩავიდა სააკაშვილი. ხომ იცოდა, რომ გახარია იმ სასტუმროში იყო? ისიც იქ მივიდა მიზანმიმართულად. ხომ შეეძლო თავი შეეკავებინა და სხვა სასტუმროში გაჩერებულიყო. ან თუნდაც გახარია, რატომ მივიდა იქ, სადაც ნაციონალური მოძრაობა იყო? გახარიამ ხომ იცოდა, რომ იქ ნაციონალური მოძრაობა იყო?! ჩავთვალოთ ისე, რომ ვინც ამ საკითხების მოგვარებით იყო დაკავებული, იმას გამორჩა ეს ამბავი. ყოველ შემთხვევაში, მიშას ნამდვილად შეეძლო თავიდან აერიდებინა ეს შეხვედრა, მაგრამ არ აირიდა.

***– რატომ?***

– შესაძლოა ამით სულაც გახარიას შეუშალა ხელი. იმ კონსპირაციულ თეორიას, რომ გახარიას და ნაციონალებს რაღაც კავშირი აქვთ, სააკაშვილმა ხელი შეუწყო და ამით გახარიას საქმე გაუფუჭა.

***– ანუ რა გამოდის, მიშა სააკაშვილმა „ოცნების“ თამაში ითამაშა? ისედაც ხშირად გამოითქმის ეჭვი, რომ მიშა ბიძინას თამაშს თამაშობსო. ახლაც ასე მოხდა?***

– ეს თამაში, ოპოზიციის წინააღმდეგ უფროა. არაერთხელ მითქვამს, რომ გახარია



უფრო შუაშისტების ხმებს წაიღებს, ვიდრე „ქართული ოცნების“. შესაბამისად, თუ დაბრალდა გახარიას, რომ ის ნაცებთანაა შეკრული, ამით, პრინციპში, „ლელო“ და ვაშაძე იხეირებს.

***– პირადად თქვენ რა წარმოდგენა გაქვთ ამ ყველაფერზე. თქვენეული ხედვა როგორია? რამდენად ხედავთ გახარიასა და სააკაშვილს შორის კავშირს?***

– იცით რა, სიტუაციური კავშირების გამორიცხვა არასდროს არ შეიძლება. პოლიტიკაში არ არის მუდმივი კავშირები, თანამებრძოლები და ერთმანეთზე თავგადაკლული ხალხი. პოლიტიკა საკმაოდ უხეში და დაბალი მორალური ფასეულობების მქონე ამბავია.

***– მორალისგან შორს არის?***

– იქ ყველაფერი ხდება. რომ ვერ წარმოიდგენთ, ისეთი რამეც კი. ის რაც კულუარებში ხდება, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მძიმე საყურებელია. მე ხომ ახალი ადამიანი ვარ პოლიტიკაში, სულ რამდენიმე წელია, რაც ამ კუთხით ვაქტიურობ და უნდა გითხრათ, რომ სულ უფრო და უფრო განხიბლული ვხდები ამ პოლიტიკური პროცესით. ძალიან ბევრი არასასიამოვნო პროცესია, რაც, სამწუხაროდ, თავს იჩენს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შესაძლებელია ეს დამთხვევა იყო, მაგრამ თავიდან აცილება ამ შეხვედრის შეიძლებოდა. პირველი ჩავიდა იქ ნაციონალური მოძრაობა. როდესაც ამ დონის შეხვედრები გაქვს, ასეთ სასტუმროს ქირაობ, ასეთი დეტალებიც ხომ უნდა გათვალო შე დალოცვილო, ხომ უნდა იცოდე, სად მიდიხარ. ვიღაცამ ხომ დაჯავშნა ეს სასტუმრო?! გახარია, ეს ხომ არ არის მეოცეხარისხოვანი პარტიის 27-ე წევრი. ლიდერია, პრემიერ-მინისტრი იყო სულ რამდენიმე თვის წინ.



***– ყურადღების ცენტრშია?***

– საკმაოდ და უნდა სცოდნოდათ, რომ იქ ნაციონალური მოძრაობაა, თანაც გაბრალებენ ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირს. ამიტომ მსგავსი სიტუაციები მაქსიმალურად უნდა აირიდო. არ აირიდა. მერე, მიშა, ადგა და ასე ყველას დასანახად შევიდა სასტუმროში, დამინახეთ ყველამ, მეც აქ ვარო. ამით კი გაამყარა ის ეჭვები. მე დამთხვევების არ მჯერა, მაგრამ ეს რაღაც კულუარული თამაში რომ არის და ერთმანეთს რაღაცნაირად რომ ემთხვევა ეს ყველაფერი, ეს ფაქტია. აქ მთავარი სხვა რაღაცაა...

***– რა არის მთავარი?***

– როგორც ჭორები მომდის... ნაცმოძრაობის შეხვედრები კი ვნახეთ, რაც იყო და როგორც იყო, ბევრი ვერაფერი. განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა. აი გახარიას შეხვედრების დონე კი სულ სხვა იყოო. გახარიას საკმაოდ კარგად და ძალიან მაღალ დონეზე ხვდებიან. ინტერესი მის მიმართ ბევრად მაღალია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

***– რა ხდება, დასავლეთი ხომ არ გვიმზადებს გახარიას სახით ახალ მმართველს?***

– ასე ნუ განვიხილავთ. სანამ კარგად არ გაიცნობენ ვიღაცას, ისე არავის არ მოგვიმზადებენ. დასავლეთისთვის სიჩქარე და სწრაფი გადაწყვეტილებები არ არის ჩვეული. ისინი ძალიან დიდხანს აკვირდებიან ადამიანს. ასევე აკვირდებოდნენ მისი პრემიერობის პერიოდში.

***– 2024 წლამდე ჯერ კიდევ დროა.***

– კი, ბატონო, რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, რომ მასზე დადებითი წარმოდგენა აქვთ. მას იცნობდნენ უცხოეთში, სხვადასხვა ბიზნესწრეებში. დიდი ხნის განმავლობაში უცხოეთში მუშაობდა და საკმაოდ წარმატებულად, მაღალ დონეზე, ამიტომ არიან ადამიანები, ვინც მიიტანდა სიტყვას იქ, სადაც საჭიროა, რომ ამ კაცის ნდობა შეიძლება ან არ შეიძლება. რაც მთავარია, ის ახალი მოთამაშეა და ძალიან ხმაურიანი მოთამაშეა საქართველოს პოლიტიკურ ველზე. ცხადია, მისი გაცნობა ახლა მნიშვნელოვანია. ამიტომ მასთან შეხვედრები რომ უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, უდავოა ეს ამბავი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობასთან. ინტერესი დღეს გახარიას მიმართ ძალიან მაღალია. გაცნობის დონეც საკმაოდ მაღალი იქნებოდა. ამის შემდეგ დააკვირდებიან. მე გახარიას ვიცნობ, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს, რომელსაც აქვს რაღაც ხედვა საქართველოს განვითარების. ის ჯერჯერობით ნაკლებად პოლიტიკური ფიგურაა, ჯერ სწავლობს პოლიტიკას, მაგრამ ბევრად უფრო განაფულია სახელმწიფოებრივი მართვის საკითხებში. „ქართული ოცნება“ რომ მოვიდა და არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, ხომ გახსოვთ?!

***– ეს მომენტი მასთან არ იქნება?***

– ეს მომენტი მასთან ნამდვილად არ იქნება. ის იქნება ძალიან კარგად მომართული სახელმწიფო მანქანის ხელმძღვანელი, თუ მოვა, რა თქმა უნდა. მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური პარტია, სუფთა პოპულისტური მიდგომებით. ის გუნდი, რაც ადრე იყო, იმან გაიარა, ის გუნდი უკვე აღარ არის. ეს ახალი გუნდი რას იზამს და როგორ იზამს, არავინ იცის.

***– დღეს ნაციონალური მოძრაობაც და ზოგადად ოპოზიცია არ არის სახარბიელო მდგომარეობაში. ახლა თავიდან აპირებენ ბოიკოტის გამოცხადებას და პარლამენტიდან გამოსვლას. ეს ცოტა არასერიოზული ხომ არაა?***

– რა თქმა უნდა, არასერიოზულია. არ იცოდნენ, რომ შევიდოდნენ და წნეხის ქვეშ იქნებოდნენ?! ან ის არ იცოდნენ, „ქართული ოცნება“ სიტყვა-სიტყვით არ შეასრულებდა მიშელის დოკუმენტს?! თუმცა ამ დოკუმენტში არის საკითხები, რომელიც სრულდება და დღესაც ძალიან მაგარი დოკუმენტის მიღება ხდება. ვგულისხმობ საარჩევნო კანონის ცვლილებას. საკმაოდ სერიოზული გარღვევებია ამ მიმართულებით.

***– ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ეს საკითხი რამდენად დაჩრდილავს სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებს. სერიოზული გაფრთხილება მიიღო „ოცნებამ“ ამ მიმართულებით. შეასრულებენ ამ რეკომენდაციებს?***

– კი ბატონო, მიიღეს. თუმცა მოდით სხვადასხვანაირად შევხედოთ ამ ამბავს. შარლ მიშელის დოკუმენტი არ გახლავთ კანონის მქონე დოკუმენტი. მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ საერთოდ არ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს, შალვა ნათელაშვილი საერთოდ არ შევიდა პარლამენტში. ეს ყველაფერი არის რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციებს რაღაცა ნაწილში ითვალისწინებს „ქართული ოცნება“, რაღაცა ნაწილში არ გაითვალისწინებს. ვნახოთ, როგორ იქნება მოსამართლეების საკითხი, ჯერ ხომ არ დამთავრებულა, მაგრამ ოპოზიციის მხრიდან ასეთ გაბუტულ პოზაში დგომა, რომ აი, თქვენ თუ ამას გააკეთებთ, ჩვენ ისევ გავალთ, არ მგონია სწორი.

***– არასერიოზულია?***

– ეს ხომ პარლამენტია? პარლამენტში მიდის ბრძოლა, შენ შეიძლება დამარცხდე, იმიტომ, რომ უმცირესობაში ხარ და უმრავლესობამ მოგიგოს, მაგრამ შენი მთავარი შინაარსი აქ არის ის, რომ აჩვენო შენს ხალხს, მედიას, დასავლეთში პარტნიორებს, რომ ახლა კი დამარცხდი, მაგრამ თუ გაიმარჯვებ მომავალში, ამ საქმეს ბოლომდე მიიყვან. აი ეს არის მნიშვნელოვანი და მთავარი. ასეთი პოზიცია, რომ ახლა მე გავიბუტე და მივდივარ, ძალიან არასერიოზულია. სად მიდიხარ, შე დალოცვილო. ეს ბრძოლაა და ბრძოლაში სულ ვერ გაიმარჯვებ. საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო და მას შეუძლია გაითვალისწინოს ვინმეს რეკომენდაციები და შეუძლია არ გაითვალისწინოს. ამიტომ გაბუტვა არის კატეგორიულად მიუღებელი. ამით ისევ ოპოზიცია დაზარალდება. ყველა არ გაყვება პარლამენტიდან, დიდი ნაწილი მაინც დარჩება და ეს არ იქნება კარგი სანახავი. სასამართლო სისტემაში არ არის კარგად საქმე, ამაზე კიდევ ცალკე შეგვიძლია საუბარი. სასამართლო არის ფუნდამენტი სახელმწიფოსი და თუ იქ არ იქნა კარგად საქმე, ჩვენ რა კანონიც არ უნდა მივიღოთ, რა სოციალური პროგრამებიც არ უნდა დავსახოთ, არაფერი არ ივარგებს. დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტი არის სასამართლო, ეს არის აქსიომა!

## გახარია: „მე და სააკაშვილი ვაშინგტონში 1 სასტუმროში ვიყავით 1 ღამე, მაგრამ გადაკვეთა არ გვქონია“

„კურიერმა“ ამერიკაში ყოფილი პრემიერის ჩაწერა მოახერხა. გიორგი გახარია ადასტურებს, რომ იმავე სასტუმროში ცხოვრობდა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი.

– დიდხანს გვეძებდით? იმ სასტუმროში ვიყავით ერთი ღამე, იქ შევიკრიბეთ, ჩვენ სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვფრინდით. მეორე დღეს უკვე ვიყავით სხვა სასტუმროში, ჩვენ გადაკვეთა არანაირი არ გვქონია. ...

საერთოდ ეს არასერიოზულია. ჩვენი წასვლა თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი, ლოჯისტიკურად სხვა სასტუმროში, მისვლა-მოსვლისთვის ბევრად უფრო მოსახერხებელი, იქ უბრალოდ ჩვენ შევიკრიბეთ. ერთი რამე გაითვალისწინეთ, ამის უკან საერთოდ არაფერი არაა და შეხვედრაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, არ არის ეს სწორი. არაფერი დასამალი არ მაქვს, არაფერი საერთო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არ მაქვს და უფრო მეტსაც გეტყვით, „ქართულ ოცნებას“ წლების განმავლობაში ისეთი ჟინით რომ ებრძოლა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ, როგორც დღეს ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის, დღეს ქვეყანაში სხვა პოლიტიკური რეალობა იქნებოდა, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ვაშინგტონში გამართულ შეხვედრებზე დეტალურ საუბარს გიორგი გახარია თბილისში დაბრუნების შემდეგ აპირებს.

– საუბარი იყო ყველა თემაზე როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან დაკავშირებით. მაგრამ ძირითადად ჩვენს პარტნიორებს აინტერესებთ, ჩვენ როგორი ხედვა გვაქვს მომავლის. ადმინისტრაციაშიც გვქონდა შეხვედრები, უშიშროების საბჭოშიც. ჩამოვალ და ყველაფერს მოგიყვებით. ყველა, ვინც რაიმე სახით საქართველოსთან არის დაკავშირებული ფორმალური თანამდებობის ნაწილში ან კვლევის ნაწილში, ან საქართველოს მეგობარია, ყველასთან გვქონდა შეხვედრები და ძალზე ნაყოფიერი, – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

გიორგი გახარია აშშ-ში კიდევ რამდენიმე დღე დარჩება და საქართველოში კვირის ბოლოსთვის დაბრუნდება.

## ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება




საპარლამენტო არჩევნების ანალოგიურად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღიც კანონით იქნება განსაზღვრული.

საარჩევნო კოდექსში ჩაიწერება, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ტარდება მორიგი არჩევნების წლის ოქტომბრის პირველ შაბათს.

ამ ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება.

როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატმა შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განმარტა, წინადადება ადგილობრივი არჩევნების თარიღის კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ სამუშაო ჯგუფში ოპოზიციის მხრიდან წამოვიდა, რაც უმრავლესობამ გაიზიარა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს!“

## დავით კირკიტაძე: „გახარიას და სააკაშვილის შეხვედრა არ ყოფილა, ამას ისინი ავრცელებენ, ვინც ჯერ ეტრფოდნენ გახარიას და ახლა ტალახს ესვრიან“

იაგო ნაცვლიშვილი

**რას დაუპირისპირებს ოპოზიცია „ქართული ოცნების“ მოქმედებებს? რას გააკეთებენ იმისათვის, რომ არ მოხდეს უზენაესი სასამართლოს უვადოდ გამწესება? იზიარებს თუ არა პარლამენტის მორიგ ჯერზე ბოიკოტს? შეხვდნენ თუ არა სააკაშვილი და გახარია ერთმანეთს ვაშინგტონში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე საუბრობს.**

***– ვხედავთ რეალობას, რაც პარლამენტშია შექმნილი. კი შეხვედით ოპოზიცია, მაგრამ „ქართული ოცნება“ მაინც იმას აკეთებს, რაც უნდა. რას დაუპირისპირებთ მის ამ მოქმედებებს?***

– ახლა თქვენ უტრირებთ. რას ნიშნავს შევედით?! ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, ვისთანაც გვქონდა საქმე და იმიტომ არ მოვაწერეთ იმ დოკუმენტს ხელი. ვიცოდით, რომ ამათთან არანაირ დოკუმენტზე ხელის მოწერას ფასი არ აქვს. ეს არის რეალობა. ის ადამიანები კი, ვინც ხელი მოაწერეს და დროც კი არ აიღეს და შემოცვივდნენ თავიდანვე... კი ნახეთ, რაც ხდება.

***– ჩემი მხრიდან უტრირება რაში დაინახეთ?***

– რაში და პარლამენტში შეხვედითო. რა პარლამენტში შევედით?! ყველაზე ბოლოს ჩვენ შემოვედით. ყველა რომ შემოვიდა და ბოიკოტმა აზრი დაკარგა და უკვე არავითარი იარაღი აღარ იყო ბოიკოტი არავის ხელში, მხოლოდ მაშინ მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტში შემოსვლის გადაწყვეტილება.

***– მე ვთქვი, რომ პირველები შეხვედით?***

– თქვენ თქვით, რომ კი აიღეთ პასუხისმგებლობა და კი შეხვედითო. გეგონება ჩვენ გვიხაროდა და გვინდოდა შესვლა.

***– არასწორად გაიგეთ ჩემი კითხვის პათოსი. არც მითქვამს, რომ პირველები შეხვედით და ასეთი ქვეტექსტიც არ ჰქონია ჩემ შეკითხვას. იმას ვგულისხმობდი, რომ ოპოზიცია ხართ პარლამენტში, მაგრამ „ოცნება“ ისევ ულტიმატუმის ენით გელაპარაკებათ და ხელების გადაგრეხვის პოლიტიკით. რას დაუპირისპირებთ მის ამ ქმედებას, რომ არ მოხდეს მოსამართლეების უვადოდ გამწესება, რაც დასავლეთისთვისაც წითელი ხაზია?***

– ბოდიშს გიხდით, თუ რამე არასწორად გავიგე.

რაც შეეხება ამ თემას, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ საზოგადოების დაკვეთა შევასრულოთ. „ნაციონალურ მოძრაობას“ არასოდეს ჰქონია იმის ილუზია, რომ „ქართული ოცნება“ თავის ზნეს და ხასიათს შეიცვლიდა და რაიმე სასიკეთოს გააკეთებდა ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ან საერთაშორისო მეგობრებს გაუწევდა ანგარიშს. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელისუფლება შეინარჩუნონ და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იყენებენ სასამართლოს. იყენებდნენ სასამართლოს, იყენებენ სასამართლოს და უნდათ, რომ მომავალშიც გამოიყენონ. თუ საზოგადოებას აწუხებს ეს საკითხი და მისთვის ეს საკითხი პრობლემურია, ჩვენ მზად ვართ კანონით დაშვებული აბსოლუტურად ყველა მეთოდით ვიბრძოლოთ, რომ ეს საკითხი არ გავატანინოთ.



რაც შეეხება იმას, რას გავაკეთებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საზოგადოების დაკვეთიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. შევეცდებით, რომ რაც საზოგადოებას სურს, ის განვახორციელოთ ჩვენც. ეს არის ჩემი პასუხი.

***– როგორ გაიგებთ მის დაკვეთას, ანუ რა არის ამის საზომი?***

– თუ საზოგადოებას ეს მიაჩნია მნიშვნელოვნად, მან უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით. უნდა გამოვიდეს გარეთ, გააპროტესტოს და აიძულოს ხელისუფლება, არ მიიღოს ეს გადაწყვეტილება. მათ შორის, იმ დღეს მოაწყოს პიკეტირება და არ შემოუშვას პარლამენტის ის წევრები, რომლებიც აპირებენ, რომ მხარი დაუჭირონ ამ საკითხს. სხვა გამოსავალს არ ტოვებს „ქართული ოცნება“. იქნება საზოგადოება აქტიური? ვერ მიიღებენ ამას, არ იქნება? – მაშინ ჰყავთ დეპუტატთა ის რაოდენობა, რომ მიიღონ. ეს არის რეალობა.



***– ოპოზიციაში გაისმა, რომ შესაძლოა იფიქროთ ბოიკოტზე. თქვენი პოზიცია როგორია?***

– ჩემი პოზიცია ასეთია, რომ ვინც ეს პოზიცია გამოხატა, ის ადამიანები არიან მართლები, რათა საზოგადოების ყურადღება მიიქციონ. ასევე შუამავლების – ფასილიტატორების ყურადღება, რომელთაც ასევე მოაწერეს ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს და „ქართულმა ოცნებამაც“ მოაწერა. აქტუალური უნდა გახადონ ეს თემა. ეს ნამდვილად არის პრობლემა და ჩვენ სოლიდარულები ვართ მათ მიმართ.

***– თუმცა, ამაზე გია ხუხაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში გიპასუხათ, რომ ოპოზიციის ბუტიაობამაც ტვინი წიაღოო და ბრძოლისკენ მოგიწოდათ.***

– ჩვენ რა გვიპასუხა გია ხუხაშვილმა?! ჩვენ კი არ გამოგვითქვამს ეს მოსაზრება, ეს თქვა მამუკა ხაზარაძემ და ალბათ მამუკა ხაზარაძეს უპასუხა.

***– კი ბატონო, ზოგადად ოპოზიციას გიპასუხათ. ის მიიჩნევს, რომ პიკეტირება უნდა მოაწყოთ, რათა არ დაუშვათ მოსამართლეების მოსმენა. განიხილავთ ამ გზასაც?***

– ჩვენ მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ იყოს სამართლიანი სასამართლო. ეს არის ჩვენი ამოცანა. ამაში გვჭირდება საზოგადოების ამოცანა. იქნება ეს ახლა, იქნება. იქნება შემოდგომაზე არჩევნების გზით, მაშინ იქნება შემოდგომაზე. ის ძალა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გვყავდეს არა თავისუფალი სასამართლო, არამედ მორჩილი, არ უნდა დაუჭიროს მხარი. ეს არის გამოსავალი.

***– მზად ხართ, აქციებზე გახვიდეთ ცხელ ზაფხულში?***

– საზოგადოების დაკვეთას შევასრულებთ. თუ საზოგადოებას სურს ეს, მაშინ ჩვენ ამას შევასრულებთ. ჩვენ მუდმივად მზად ვართ, რომ საზოგადოების დაკვეთა შევასრულოთ.

***– ბოლო 2 დღეში ერთგვარ რეზონანსულ თემად იქცა სააკაშვილი-გახარიას შესაძლო შეხვედრა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?***

– არავითარი შეხვედრა არ შემდგარა მიხეილ სააკაშვილსა და გიორგი გახარიას შორის. ამის გავრცელებას ცდილობენ ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე თვის წინ გახარიას ეტრფოდნენ და მას უწოდებდნენ სუპერ მინისტრს. დღეს კი მას ტალახს ესვრიან. ასეთი ხალხია ესენი. რამდენიმე თვის წინ მის გარეშე ვერ წარმოედგინათ „ქართული ოცნება“ და დღეს უკვე ტალახს ესვრიან მას, რაც ძალიან სამარცხვინოა და არ უნდა დაკარგონ ადამიანებმა სახე.

***– შემთხვევითი იყო გახარიას და სააკაშვილის ერთ სასტუმროში მოხვედრა?***

– ვერ გეტყვით. იქ მიხეილ სააკაშვილი უფრო ადრე იყო ჩასული, ვიდრე გახარია. სხვას ვერაფერს გეტყვით.

---

# „ქართული ოცნება“ — 32%, ნაციონალები — 24%, გახარიას პარტია — 13%

## ედისონ რისერჩის კვლევა




24 ივნისს ტელეკომპანია „ფორმულამ“ ედისონ რისერჩის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?“ – ამ კითხვაზე კვლევის შედეგების ალოკაციის მიხედვით, პარტიების რეიტინგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ქართული ოცნება – 32%;

ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია – 24%;

გიორგი გახარია – საქართველოსთვის – 13%;

გიორგი ვაშაძე სტრატეგია აღმაშენებელი – 4%;

ლელო – 4%;

შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია – 3%;

დავით თარხან მოურავი & ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი – 3%;

ლევან ვასაძე – ერი – 3%;

ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი – მეტი თავისუფლება – 2%;

გირჩი – 2%;

ანა დოლიძე – ხალხისთვის – 2%;

ალექსანდრე ელისაშვილი – მოქალაქეები – 2%;

ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის – გიგა ბოკერია – 1%;

ელენე ხოშტარია – დროა – 1%;

ირაკლი ოქრუაშვილი – გამარჯვებული საქართველო – 1%;

ნინო ბურჯანაძე – ერთიანი საქართველო – 1%;

ეკა ბესელია – სამართლიანობისთვის – <1%;

თავისუფალი საქართველო – <1%;

დავით ჭიჭინაძე – ტრიბუნა <1%;

ზვიად ძიძიგური – კონსერვატიული პარტია – <1%.

---

# ღარიბაშვილი: „კოვიდრეგულაციების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები ყველას ჩამოეწერება“



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, პირებს, ვისაც პანდემიის პერიოდში დაწესებული რეგულაციების დარღვევის გამო ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ, ამნისტია შეეხებათ და სახდელისგან გათავისუფლდებიან.

– მე მინდა ჩვენს მოსახლეობას ვაცნობო, რომ დღეს საქართველოს პარლამენტს წარედგინა ორი კანონპროექტი, რომელიც ეხება იმ პირებს, ვისაც პანდემიის პერიოდში დაწესებული რეგულაციების დარღვევის გამო ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ამნისტია შეეხება და როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ასევე ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლდება დაახლოებით 245 ათასზე მეტი ჩვენი თანამოქალაქე და 344 იურიდიული პირი.

საუბარია იზოლაციის, კარანტინის და პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაკისრებულ დაახლოებით 76 მილიონი ლარის გადაუხდელ ჯარიმებზე, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, გადაწყვეტილება პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღო.

– ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მივიღეთ პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ პანდემიის პერიოდში არაერთი ჩვენი მოქალაქე და ბიზნესი დაზარალდა, 2020 წელი ძალიან რთული იყო და აღნიშნული სახდელები მათთვის დამატებითი ტვირთია.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ვირუსის მართვის დროს აუცილებელია რეგულაციების დაცვა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და ეს ინიციატივა სწორედ ამით არის განპირობებული. ასე რომ, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო პარლამენტს.

მე მქონდა კომუნიკაცია ჩვენს გუნდთან, ჩვენს პოლიტსაბჭოსთან, უმრავლესობასთან და აღნიშნული ინიციატივა უახლოეს დღეებში იქნება მიღებული და დამტკიცებული, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

---

# „ლევან ვასაძე ვეღარ სუნთქავს, ფეხები დაუსივდა, ადამიანი ილევა“

## ის თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს

მოძრაობა „ერის“ დამფუძნებელი ლევან ვასაძე თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. ის 23 ივნისს სასწრაფო ჩარტერით გადააფრინეს. სავარაუდოდ, ის მოწამლულია, თუმცა ზუსტი დიაგნოზი ჯერ უცნობია.

მოძრაობა „ერის“ დამფუძნებელი 23 ივნისს თბილისში ერთ-ერთ კლინიკაში მიიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ის საქართველოდან თურქეთში უნდა გადაფრენილიყო.

ვასაძის თანაგუნდელები არ გამორიცხავენ, რომ ის მოწამლეს.

– მოწამლული რომ იყო, ეგ ვიცი და რომ აპირებდა ქვეყნიდან წასვლას რამდენიმე დღით გამოკვლევებზე. უნდა გაერკვნენ ექიმები, – თქვა კოკა მორგოშიამ.

ლევან ვასაძე 2 დღის წინ ქობულეთში იმყოფებოდა, სადაც მხარდამჭერებთან პარტიულ შეხვედრას მართავდა. იქიდან ის დაბრუნდა თბილისში და მძიმე მდგომარეობაში ერთ-ერთ კლინიკაში მიიყვანეს, საიდანაც სასწრაფოდ თურქეთში გადაიყვანეს.

ლევან ვასაძის თანაგუნდელის, სოსო მანჯავიძის, ინფორმაციით, ვასაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად დამძიმდა. მიზეზი ვერც საქართველოში და ვერც რუსეთში დაადგინეს და სწორედ ამიტომ ბიზნესმენი თურქეთში გადაიყვანეს. ვასაძის თანაგუნდელი „ტვ პირველს“ უყვება, რომ „ერის“ ლიდერმა რამდენჯერმე კორონავირუსზე ტესტიც კი გაიკეთა, თუმცა მას ვირუსი არ დაუდასტურდა. გაირკვა ისიც, რომ მას კოვიდ 19 გადატანილი არ ჰქონია.

– მოწამვლა შეიძლებაო, როგორი საქმეა, როცა ვერ იგებ, რა გჭირს. ეგ არის ზუსტად, მოწამვლა არ ჩანს. ვერ დაიცავ, მხოლოდ ღმერთის იმედზე უნდა იყო. ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ისე გაისტუმრონ საიქიოში, რომ ვერც კი გაიგონ, რა მოხდა. თუ, რა თქმა უნდა, ამაზე პოლიტიკური ნება არის, – აცხადებს მანჯავიძე ტვ პირველთან.

მისი თქმით, ლევან ვასაძეს სუნთქვა უჭირს:

– ვეღარ სუნთქავს.... ეგ ისეთი ტიპია, რაგბისტია და სულ ვარჯიშობს. ძალიან ცუდად გახდა. ფეხები დაუსივდა. ფილტვების ინტუბაცია აქვს შესუსტებული. კოვიდზეც გაესინჯა, თუმცა არ აქვს. მოსკოვშიც გაესინჯა და თბილისშიც, თუმცა დიაგნოზი ვერსად დაუსვეს. ადამიანი ილევა, თურქეთშიც თუ ვერ დაუსვეს დიაგნოზი,...აი, ენერგია რომ ეცლება, ფეხები რომ უსივდება, ეს ნიშნავს იმას, რომ გულთან არის პრობლემა.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ოპოზიციამ სასწრაფოდ უნდა განაახლოს ბოიკოტი“

## ბეჟან ნათელაშვილი: „ლეიბორისტული პარტიის დასჯა არ შერჩებათ“

მარიამ მჭედლიშვილი



**რატომ დაისაჯა ლეიბორისტული პარტია? რატომ არ გამოუვა ხელისუფლებას ლეიბორისტების წინააღმდეგ გამოცხადებული რეპრესიების შესრულება? როგორ უნდა მოიქცეს პარლამენტში შესული ოპოზიცია? რატომ არის დაუჯერებელი ხელისუფლების მიერ დაანონსებული დეოკუპაციის პროგრამა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრს ბეჟან ნათელაშვილს.**

***— საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ახალ ბოიკოტზე ალაპარაკდა. ამის საფუძველი შექმნა „ლელოს“ დეპუტატების განცხადებამ. „ლელოში“ აცხადებენ, რომ თუ ქვეყანაში არ შეჩერდება მოსამართლეების შერჩევა-დამტკიცების პროცესი, პარტია პარლამენტიდან გავა. დანარჩენი ოპოზიცია ამ საკითხზე მსჯელობს. პარლამენტის ხელახალი ბოიკოტი შესაძლებელია?***

— პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ „თუ“-ებით კი არ უნდა ილაპარაკოს, სასწრაფოდ უნდა განაახლოს ბოიკოტი. არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ოპოზიცია უარს ამბობდა გაყალბებული არჩევნების შედეგად ფორმირებულ არალეგიტიმურ პარლამენტში შესვლაზე. ერთობა იკრიბებოდა ჩვენი, ლეიბორისტული პარტიის ოფისში, რომელსაც „ფანჩატური“ დაარქვეს და ერთად ადგენდა სამოქმედო გეგმებს.

***— მიგაჩნიათ, რომ ოპოზიციის მხრიდან ბოიკოტი არ უნდა დაუკავშირდეს მიშელის შეთანხმების დარღვევას მოსამართლეების დამტკიცების პუნქტში?***

— რასაკვირველია. ბოიკოტი ისედაც ხომ იყო გამოცხადებული! მაშინ მოსამართლეების და სასამართლოს თემა არ იყო გადამწყვეტი. სამწუხაროდ, ოპოზიციამ გატეხა ხალხისთვის მიცემული სიტყვა, შევიდა გაყალბებულ პარლამენტში და შეუდგა „ქოცებთან“ მუშაობას. ამის შედეგი იყო ის, რაც ლეიბორისტულ პარტიას გაუკეთეს.

***— ამაზეც მქონდა შეკითხვა. გულისხმობთ იმას, რომ მომავალი წლიდან პარტიას ეხსნება დაფინანსება და კვალიფიციური სუბიექტისათვის დადგენილი ყველა სხვა უფლება მანდატებზე უარის თქმის გამო?***

— ქოცებმა ლეიბორისტების და პირადად შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ სადამსჯელო კანონი სამივე მოსმენით მიიღეს. ეს მოხდა სრული მდუმარების პირობებში. ოპოზიციის სიჩუმემ და პასიურობამ გამოიწვია ის, რომ განახლდა პროცესები პოლიტიკოსების წინააღმდეგ. პოლიტიკური დევნა არ შეწყვეტილა. ამიტომ ვამბობ, რომ ბოიკოტი დასაბრუნებელია. მარტო მოსამართლეების დანიშვნა არ არის გასაპროტესტებელი. მოვუწოდებ პარლამენტში შესულ მთელ ოპოზიციას, გარდა ნარკოგამპიარებლებისა და კინტოებისა, დატოვონ პარლამენტი! ნარკოტიკების პოპულარიზაციას „გირჩი“ ეწევა, „კინტოები“ კი ელისაშვილის ჯგუფია. ამათ გარდა, ყველა უნდა დაუბრუნდეს ბოიკოტს და ერთიან ოპოზიციურ პლატფორმას. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ფაქტობრივად რეფერენდუმია. ერთიანობით ჩვენ შევძლებთ იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მიიღოს 43%. ამ შემთხვევაში 2022 წელს ინიშნება ვადამდელი არჩევნები. თუ არადა, „ოცნება“ „კაი“ 50%-საც დაიწერს. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობდნენ, მკვდარს თუ შემიტანთ პარლამენტში, თორემ, ცოცხალი იქ ფეხს არ შევდგამო. ძალიან ცუდია, რომ სიტყვა გატეხეს. ლეიბორისტების ლიდერმა სიტყვა შეასრულა. ამიტომ მის წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო.

### „უახლოეს მომავალში ან ქოცები ჩაიძირებიან, ან ჩაიძირება საქართველო“

***— თუ ოპოზიციამ ბოიკოტი არ განაახლა, როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციური ერთობის აღდგენა?***

— თუ პარლამენტი დატოვეს, ეს მონანიება იქნება. თუ არა, მაშინ ოპოზიციური ერთობა წარმოუდგენელია. შეუძლებელია ითანამშრომლო ხალხთან, რომელიც დღეს ერთს ამბობს, ხვალ კი ამის საპირისპიროს აკეთებს.

***— ლეიბორისტულ პარტიას ამ დღეებში მიღებული კანონით ეხსნება უფლებები და კანონით დადგენილი პრივილეგიები. ბოლო დროს მიდის კამპანია იმის თაობაზე, რომ პარტიები ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ.***

— პარტიების დაფინანსება ვინმეს კეთილი სურვილი არ არის. შესაბამისი კანონი მიღებულია 2007 წელს ევროპის საბჭოს სტანდარტების საფუძველზე. მას შემდეგ პარტიები ფინანსდებიან არჩევნებზე მიღებული ხმების მიხედვით. კვალიფიციურ პარტიას ასევე ეძლევა უფასო საეთერო დრო და სხვა. იმისდა მიუხედავად, შედის თუ არა პარტია პარლამენტში.

***— აქამდე ასე იყო. ახალმა კანონმა ეს საკითხები ერთმანეთს მიაბა.***

— ამიტომ არის ეს კანონი უსამართლო, კონსტიტუციასთან შეუსაბამო და ვენეციის კომისიის მიერ დაწუნებული. ხელისუფლება გვსჯის — ჩვენ, ლეიბორისტული პარტია, არ ვიღებთ ხელფასებს, უფასო საწვავს, არ ვსარგებლობთ კაბინეტებით, სამივლინებო თანხებით და უფასო სატელეფონო საუბრებით. აღარ გვაქვს უფასო სარეკლამო დრო. ვენეციის კომისია ამ კანონს მხარს არ უჭერს. წესით, ჩვენმა პარტნიორებმა აშშ-დან და ევროპიდან ამ უსამართლობაზე ხმა უნდა ამოიღონ. მგონია, რომ ლეიბორისტული პარტიის დასჯა არ შერჩებათ. თუ დასავლელი პარტნიორები ასეთ რამეებზე გაჩუმდნენ, საქართველოს დაკარგავენ. ისედაც რა ხდება რეგიონში – სომხეთსა და აზერბაიჯანში გაიზარდა რუსეთის ყოფნა. დასავლეთს ერთი საქართველო დარჩა.

***— „იპსოსის“ მონაცემებით, „ქართულ ოცნებას“ 32%-იანი რეიტინგი აქვს, ნაციონალურ მოძრაობას – 23%, 8% – გახარიას ორგანიზაციას. ლეიბორისტული პარტიის რეიტინგი 3%-ია. არის რეალობასთან ახლოს ეს მონაცემები?***

— ლეიბორისტულ პარტიას, ჩვენი მონაცემებით, 7%-იანი რეიტინგი აქვს. თქვენ მიერ ნახსენების მაგვარი კვლევები ხშირად აცდენილია რეალობას და სიზუსტეს. არ ვიცით, რა მეთოდებს იყენებდნენ გამოკითხვის დროს. იქნებ, „ოცნებას“ ასახელებდნენ შიშის გამო?! უნდათ ამომრჩევლის დაბნევა. ყველაზე ნაღდია ხალხის გამოკითხვა კომპანიების გარეშე.

***— ადრე ოპოზიციას დიდი აყალმაყალი ჰქონდა ატეხილი ცესკოს თავმჯდომარის ჟვანიას გადაყენების თემაზე. დღეს „ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ოპოზიციას მოუწოდებს, ბოდიში მოუხადოს თამარ ჟვანიას.***



— კულულებიან კობახიძეს მტერი დაეთანხმა. მე მას ნაწილობრივ ვეთანხმები. როცა პარლამენტში შეხვალ, „გაუპრავებ“ ოცნებას ტოტალურად გაყალბებულ არჩევნებს, შეწყვეტ ბოიკოტს და იმუშავებ ქოცებთან, რა გასაკვირია, რომ ცესკოს თავმჯდომარისთვის ბოდიშის მოხდაც მოგთხოვონ! ჩვენ ორი არჩევანი გვაქვს, უახლოეს ხანში ან ქოცები ჩაიძირებიან, ან ჩაიძირება საქართველო. თითქოს „დრელი“ უჭირავთ და ისე ანგრევენ საქართველოს. ამას აკეთებენ ქოცები და ოპოზიცია, რომელმაც პროტესტი შეწყვიტა.

***— ვადამდელი არჩევნები მოსალოდნელია?***

— ან ვადამდელი არჩევნები იქნება, ან ჩვენ გადავიქცევით რუსეთის უკანა ეზოდ.

***— ამას მომავალზე ამბობთ. არაოფიციალურად და კულუარულად საქართველოში წინა წლებშიც დიდი იყო რუსეთის გავლენა.***

— დიახ, მაგრამ მაშინ მსოფლიოს რადარებზე ვჩანდით. ახლა აღარ ვჩანვართ. გაერომდე ვერ მიგვიწვდენია ხმა და ვერ აღგვიკვეთია ჩვენი მოქალაქეების გატაცებები და დაპატიმრებები. ამის ერთი მაგალითია ზაზა გახელაძე.

***— ხელისუფლება აპირებს დეოკუპაციის პროგრამის თუ გეგმის შემუშავებას.***

— არაფერი არ გაკეთდება. ეგ იგივეა, მგელი რომ ცხვრის ფარაში შევიდეს და შიმშილობა გამოაცხადოს. ოკუპანტის მიერ გამოგზავნილის მიერ გამოცხადებული დეოკუპაცია სად გაგონილა! ქვეყანას ისევ ოკუპანტის მიერ მოვლენილი ბიძინა ივანიშვილი მართავს. გარეგნულად, ის წავიდა, სინამდვილეში, არსად წასულა. ის აგრძელებს ქვეყნის ძარცვას. ასე თუ გაგრძელდა, საქართველო რუკიდან გაქრება. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ.

# „პარლამენტში ოპოზიციის შესვლას მე მხარს არ ვუჭერდი“

## მურმან დუმბაძე: „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტი დასაქმების ორგანოდ აქცია“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, რამდენად შეიძლება ოპოზიცია მართლაც დადგეს იმ რეალობის წინაშე, რომ პარლამენტის დატოვება მოუწიოს თუ მოსამართლეების დანიშვნის პროცესი გაგრძელდება?***

— „ქართული ოცნებისთვის“ ნდობა არ შეიძლება. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა ამ ქვეყანაში არ აწყობდა არც ერთ ხელისუფლებას და არ აწყობს ამ ხელისუფლებასაც, მაგრამ ჩვენ, ოპოზიციამ, საზოგადოებამ უნდა ვიბრძოლოთ. თუ ახლა არ ვიბრძოლებთ დამოუკიდებელი სასამართლოსთვის, ნებისმიერი ხელისუფლება ეცდება, სასამართლო ლაგამამოდებული ჰყავდეს. ეს არის რეალობა 30 წლის განმავლობაში.

შარლ მიშელის დოკუმენტი პირდაპირ ამბობს, რომ სისტემის რეფორმა უნდა დაიწყოს. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ „ქართულ ოცნებას“ მარკერით გაუხაზა ეს პუნქტები, რეაგირება სასწრაფო წესით არის საჭირო.

***— რა კუთხით?***

— თუ ოპოზიცია შეთანხმდება და „ოცნებას“ რეალობის წინაშე დააყენებს, რომ მართლაც დატოვებს პარლამენტს, მინიმალურ დონეზე შეიძლება პროცესი შევაჩეროთ მაინც. ამ ეტაპისთვის ეს შეიძლება იყოს გამოსავალი, რათა მეტი აქცენტი დავსვათ. მერე კი მივაჯანჯლებთ ამ ხელისუფლებას ოქტომბრამდე, დაინიშნება რეფერენდუმი და სისტემის რეალური რეფორმა უნდა დაიწყოს. სხვა გამოსავალი არ არსებობს.



„ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტი დასაქმების ორგანოდ აქცია და არა კონსტიტუციურ ორგანოდ, სადაც კანონს ქმნიან და მის აღსრულებას ზედამხედველობენ. — თუ გახვალთ, ხელფასებს მოგიხსნით, თუ არ შემოხვალთ, დაფინანსებას გაგიუქმებთ — ფინანსებამდე დაიყვანეს პარლამენტი. ეს არის ღრმა შეცდომა და ამ შეცდომაში რაღაცა წვლილი ოპოზიციასაც მიუძღვის. მე არ ვარ ის კაცი, რომელიც არ ამბობს იმასა, რასაც ფიქრობს.



პარლამენტში ოპოზიციის შესვლას მე პირადად მხარს არ ვუჭერდი. ვთვლიდი, რომ ეს შეცდომა იყო და დღესაც ასე ვთვლი. ხომ გამოჩნდა, რომ შეცდომა იყო, ხომ აშკარად გამოჩნდა, რომ „ოცნების“ ნდობა არ შეიძლება. ახლა თუ შეთანხმდებიან და პარლამენტიდან გამოვლენ, ეს არ იქნება ურიგო საქმე. ეს არის განსახილველი საკითხი, რადგან ვერც ისეთ საარჩევნო კოდექსს მიიღებენ, რომელიც არჩევნების გაყალბებისგან დაგვაზღვევს. თუ ხელისუფლებას გაყალბება უნდა, გააყალბებს. ამის ერთადერთი წამალი მათი დაშინებაა პარლამენტში მარტო დატოვებით.

ჩვენ ვერ შევძელით, როგორც ქვეყანამ, ისეთი ხელისუფლების არჩევა, რომელიც დამოუკიდებელ სასამართლოს რეალობად აქცევდა. ამიტომ, თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაც არის ამ ყველაფერში. მე, პირადად გამოსავალს ზედა ინსტანციებში უცხოელი, ბრიტანელი, ამერიკელი, გერმანელი ნეიტრალური მოსამართლეების ჩამოყვანაში ვხედავ. ძირეული რეფორმა არის ერთადერთი გამოსავალი.

***— „ოცნება“ კი ამბობს, ამ გადაწყვეტილებით ოპოზიცია კიდევ ერთხელ შეიყვანს ქვეყანას ჩიხში.***

— ოპოზიცია თუ ხელისუფლება?! როდესაც შენ არ გსურს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, როდესაც არ გსურს მიშელის დოკუმენტის გაზიარება, როდესაც პატივს არ სცემ ოპოზიციას ანუ შენი მოქალაქეების იმ ნაწილს, ვინც ოპოზიციას მისცა ხმა. რეალურად ვის შეჰყავს ჩიხში ქვეყანა?! ყველაფერი მარტივად არის. ლაპარაკი უკვე სამარცხვინო დონეზე არის დასული. ელჩმა დოკუმენტი მარკერით გაგვიხაზა, ამაზე მეტი სირცხვილი რა უნდა იყოს?!

***— ბატონო მურმან, სააკაშვილისა და გახარიას ამერიკაში ერთ სასტუმროში გაჩერება თქვენთვის დამთხვევაა? ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ გახარიას ბურჟულიზაციის პროცესი დაიწყო.***

— სიმართლე გითხრათ, შეხვედრაშიც კი ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, ასეც რომ ყოფილიყო, მაგრამ ყოფილმა პრეზიდენტმა, ყოფილმა პრემიერმა, როგორ დავიჯერო, თუ უნდოდათ კონსპირაციული შეხვედრა, ეს ვერ მოახერხეს და გაუჭირდათ?! არც ისეთი პატარაა ეს სამყარო, მით უფრო, ამერიკაში ვერ დამალვოდნენ „იმედის“ კამერას. ან ერთი ნდობით აღჭურვილი პირი როგორ არ აღმოაჩნდა ან სააკაშვილს, ან გახარიას, რომ დანაბარები მაინც გადაეცათ ერთმანეთისთვის თუ ასეთი სურვილი ჰქონდათ?!

ჩემთვის გახარიასა და სააკაშვილის შეხვედრა — არ შეხვედრა, სულაც არ არის მთავარი. ჩემთვის მთავარია, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ, ყოფილმა პრემიერმა ლეგიტიმურ კითხვას გასცეს პასუხი — 20 ივნისს მოქალაქეების დარბევის ბრძანება ვინ გასცა?

კიდევ ერთი საკითხია მთავარი: ოქტომბერს დაველოდოთ და სრული მობილიზება მოვახდინოთ არჩევნებისთვის.

***— შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს გახარიას „ნაციონალებთან“ არჩევნების კონტექსტში? თუმცა, ის უარყოფს.***

— არა, არავითარი. რასაკვირველია, ამას გამოვრიცხავ.

# „ჩემი და ძირს ეგდო და ტიროდა, ეს ტიპი შიშველი იყო“

## თბილისში ძალადობისთვის მამაკაცი დააკავეს



თბილისში 35 წლამდე კაცმა მეგობარ ქალზე, სავარაუდოდ, იძალადა, ამ ფაქტს კი მსხვერპლის და შემთხვევით შეესწრო.

დაზარალებული ამტკიცებს, რომ მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იყო და წინააღმდეგობის გაწევის დროს მასაც ფიზიკურად გაუსწორდა.

– ის კაცი ახლობელია, შორებელი არ არის. ჩემი და უნდა წამეყვანა სახლში. ფანჯრიდან ისეთი კადრები ჩანდა, რომ გავხდი არაადეკვატური. შევვარდი, მომკიდა ხელი, მეც მიმანარცხა, ჩემი და ძირს ეგდო და ტიროდა, ეს ტიპი შიშველი იყო, – თქვა დაზარალებულის დამ.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, მამაკაცი უკვე დაკავებულია.

# ნელი დოროყაშვილის ძმას დისშვილზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ედავებიან



ნომერ პირველი ქართველი ჩოგანის საქმის სკანდალური გაგრძელება – „ტვ პირველისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი ცოლის, ნელი დოროყაშვილის ძმა ჩოგბურთელის არასრულწლოვან შვილზე ფსიქოლოგიურ ძალადობაშია ბრალდებული.

თორნიკე დოროყაშვილი ვაკის პოლიციაში რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდა. მიმდებარე ტერიტორია კამერების გამოჩენისთანავე დატოვა ნელი დოროყაშვილმა, რომელიც ძმას პოლიციის შენობასთან ელოდებოდა.

ცნობილია, რომ თორნიკე დოროყაშვილს ნიკა ბასილაშვილის ძმამ უჩივლა.

# ბათუმში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლებმა ქალაქ ბათუმში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 667 კოლოფი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვის 2 ფაქტი გამოავლინეს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ უაქციზო საქონელი, კანონდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს გადაეგზავნა.

# ვარკეთილის მეტროში მამაკაცს სცემეს

## „დამესივნენ, მუშტები მირტყეს“

ფიზიკური დაპირისპირება მოხდა 23 ივნისს გვიან ღამით ვარკეთილის მეტროში. ირკვევა, რომ ახალგაზრდა კაცს 15-მდე ადამიანი თავს მაშინ დაესხა, როცა ის მეტრო სადგურიდან გამოდიოდა.

კაცი ნასვამ მდგომარეობაში იყო, თუმცა რა გახდა ახალგაზრდებს შორის ანგარიშსწორების მიზეზი, უცნობია.

– დამესივნენ ერთი 20 კაცი, აზრზე არ ვარ, ვინები არიან, ვიღაცები დამესივნენ და დამცხეს, მუშტები, წიხლები, – ამბობდა დაზარალებული.

შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ სამართალდამცველებიც, მაგრამ ინციდენტში მონაწილე პირები არც იდენტიფიცირებული და არც დაკავებულები არიან.

# მამუკა კვალიაშვილი: „რომ ვთქვი, მოვკლავ-მეთქი, პოლიცია დამეცა სახლში“

## სპეცოპერაცია მოხისში



ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხისში ერთ-ერთი ადგილობრივი, რომლის სახლშიც 23 ივნისს სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს, ამბობს, რომ მათ სახლში სამართალდამცველები სასამართლოს განჩინების საფუძველზე შევიდნენ. განჩინებას კი საფუძვლად მანამდე გაკეთებული მისი განცხადება დაუდეს.

მოხისში სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველები სოფლის მცხოვრებ ორ ადგილობრივთან სახლებში შევიდნენ და ჩხრეკა ჩაატარეს. შსს-ს თანამშრომლები სახლებში იარაღს რამდენიმე საათის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ.

ჩხრეკის გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღეს, რაც შპს „აგროინდუსტრიის“ დირექტორმა ვაჟა გორდიაშვილმა თქვა, რომ მოხისელები მას სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრნენ.

კომპანიის დირექტორი იმ მიწების ახალი მეპატრონეა, რომელთაც მოხისელები წლების განმავლობაში ამუშავებდნენ და რომლებიც ეკონომიკის სამინისტრომ ცოტა ხნის წინ აუქციონის წესით გაასხვისა. მაშინ ფაქტი ადგილობრივებმა გააპროტესტეს და სატელევიზო ეთერებში პირობა დადეს, რომ სახნავ-სათეს მიწებს არ დათმობდნენ.

– დამეცა პოლიცია, 5 იყვნენ, მოვიდნენ, შემოცვივდნენ ეგრევე, სახლი უნდა გავჩხრიკოთო. პროკურატურიდან არის მოსული განჩინება და უნდა გავჩხრიკოთო.

საბრძოლო მასალებს ვინახავ თურმე და ცეცხლსასროლ იარაღს. საფუძვლად დაუდეს, მე რომ აღელვების ნიადაგზე ვთქვი, მოვკლავ-მეთქი. როცა უცებ გაიგებ, რომ როცა რაღაცას გეგმავ, შენი ქონება უცებ გაყიდეს და საარსებო წყარო წაგართვეს, აღელვების ნიადაგზე, ნებისმიერი ადამიანი ან იმას იტყვის, ან ამას იტყვის.

მაგან სადაც ამდენი გააკეთა, არ ვარ დაზღვეული, რომ ისევ ჩხრეკა არ ჩაატარონ და ჩამიდონ სახლში, – ამბობს მამუკა კვალიაშვილი.

ვაჟა გორდიაშვილის კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი ტელეკომპანია „თრიალეთის“ დირექტორი ჯონდო ნანეტაშვილია, სწორედ „თრიალეთის“ 10 პროცენტს ფლობს ბიძინა ივანიშვილის ოჯახი.

ჯონდო ნანეტაშვილის ძმა, ბადრი ნანეტაშვილი შერიგების მინისტრის მოადგილეა. მოხისელები ამბობენ, რომ „აგროინდუსტრიამ“ მიწები სწორედ ხელისუფლებასთან ახლო კავშირის გამო ჩაიგდო ხელში, პროტესტის გამო კი მთავრობამ მათი დასჯა გადაწყვიტა.

ვაჟა გორდიაშვილი მოხისის მოსახლეობის პროტესტს



### ვაჟა გორდიაშვილი: „მიწები კანონიერად შევიძინე“

პასუხობს და ამბობს, რომ მათ მიწები არ უნდა გადაეცეთ. გორდიაშვილის განმარტებით, მან მიწებზე გამოცხადებულ აუქციონში თანხა გადაიხადა, მოხისელებს კი კანონის უგულებელყოფაში ადანაშაულებს.

– არ არსებობს მათთვის არც კანონი და არც არაფერი. მხოლოდ მათ რომ უნდათ, ის არის მათი კანონი?! გამოდის ვიღაც მამუკა კვალიაშვილი და იძახის, რომ მე არ შემოვუშვებ ვაჟა გორდიაშვილს, თუ მოვა მოვკლავთ, მკვლელობა მოხდება, მკვლელი გავხდები, გადავბუგავო.

აუქციონში რომ მოიგებ, იქ რომელ ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილობაზეა ლაპარაკი. უკაცრავად, რატომ უნდა გადაეცეს, ვინ არიან რა უპირატესობა აქვთ ჩემთან შედარებით. გამოცხადდა აუქციონი და ჩემი უპირატესობა, ჩემ მიერ დადებული ფასი იყო, – თქვა ვაჟა გორდიაშვილმა.

# პარლამენტმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი განახორციელებს სამართალწარმოების პროცესში მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას. გარდა ამისა, კოორდინატორი მოწმეს და დაზარალებულს დაეხმარება საგამოძიებო ორგანოებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში, გამოძიების ეტაპზე უზრუნველყოფს მათ სათანადო ინფორმირებას, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეს და დაზარალებულს შესთავაზებს სახელმწიფოში არსებულ სერვისებს და დაეხმარება ამ სერვისებში ჩართვის პროცესში.

არსებული პრაქტიკის ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ კოორდინატორის სამსახური ძალზე ქმედითი მექანიზმია და უამრავ მოწმესა და დაზარალებულს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გაადვილების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების თანახმად, გამოძიების ეტაპზე გამომძიებელს ენიჭება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეში ჩართოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც ხელს შეუწყობს მათთვის სერვისების ოპერატიულად მიწოდებას.

ცვლილებათა პაკეტით გაიმიჯნა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორთა ფუნქციები, რაც სამომავლოდ რესურსების ეფექტურად გადანაწილებას შეუწყობს ხელს.

# „ჩემი შვილი დაჯდა საქანელაზე, რომელიც გადმოვარდა და ბავშვს დაეცა“

## რა მოხდა გლდანში




რამდენიმე დღის წინ გლდანულის ერთ-ერთ სკვერში მოზარდს 400 კგ-იანი რკინის საქანელა ფეხზე დაეცა. მოზარდმა ფეხის არეში მრავლობითი დაზიანება მიიღო, რის გამოც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

რა გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი?

დაზარალებული ბავშვის მშობლები პასუხისმგებლობას მერიას აკისრებენ, რომელმაც საქანელები საბავშვო მოედანზე დაამონტაჟა, თუმცა უსაფრთხოების ზომები აღარ შეუმოწმებია.

– დაახლოებით 2 კვირის წინ გადმოვარდა საქანელა და ამის შემდეგ მოსახლეობის მხრიდან არაერთხელ იქნა მიმართული, რომ მოსულიყვნენ და გაეკეთებინათ, თუმცა არავინ არ მოვიდა. მოხდა შემდეგ ის, რაც მოხდა, დაჯდა ჩემი შვილი, გადმოვარდა უზარმაზარი საქანელა და ბავშვი ფაქტიურად გადარჩა.

მერიასთან მე გავედი მე-4 დღეს, იქამდე არავის არ დაურეკავს. მიუხედავად იმისა, რომ მოვიდნენ, შეაკეთეს საქანელა. ჩვენ ვიწყებთ სამართლებრივ დავას მორალურ ზიანზე, – ამბობს ბავშვის დედა.

ოჯახის ადვოკატის თქმით, მერიის თანამშრომლებმა სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

თბილისის მერიაში ამბობენ, რომ ატრაქციონები ვანდალიზმის გამო ზიანდება, ხოლო გლდანის რაიონის გამგებელს კომუნიკაცია აქვს ოჯახთან და გამოთქვამს მზაობას, რომ სამედიცინო ხარჯები დააფინანსოს. რაც შეეხება მორალურ ზიანს, „მთავარი არხისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაში თბილისის მერია ამ საკითხზე ყურადღებას არ ამახვილებს.



# გარდაბნის ტბაში მაშველებმა 2 მოზარდის ცხედარი იპოვეს

გარდაბანში, თბოელექტროსადგურთან არსებულ ხელოვნურ ტბაში 2 მოზარდის ცხედარი იპოვეს.

15-16 წლის მოზარდები ტბაში საცურაოდ შევიდნენ და უკან გამოსვლა ვეღარ მოახერხეს.

ადგილზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებულები.

# პოლიციელი გიორგი პატიაშვილი: „ნიკა მელიამ ხალხს მოუწოდა, უნდა ვიყოთ პარლამენტის შიგნითო“




– ნიკა მელიამ ხალხს მოუწოდა, აქ არ უნდა ვიყოთ, ჩვენ უნდა ვიყოთ პარლამენტის შიგნითო.

ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას საქმეზე სასამართლო პროცესზე პოლიციელმა გიორგი პატიაშვილმა განაცხადა.

როგორც მან განმარტა, მელიას მოწოდების შემდეგ ხალხმა აგრესიული მოქმედებები დაიწყო.

– მიმართვა მიკროფონის საშუალებით გააკეთა. ნიკა მელიას გამოსვლის შემდეგ ხალხის მასამ დაიწყო პოლიციელებზე მიწოლა, იყო განსაკუთრებული აგრესია პოლიციელების მიმართ. ხალხის მხრიდან იყო გინება და შეურაცხყოფა და მოწოდება, შეგვიშვით, შეგვიშვითო, – განაცხადა პატიაშვილმა.

მისივე თქმით, სხვა ლიდერები რა განცხადებებს აკეთებდნენ, არ ახსოვს, თუმცა, მანამდე მშვიდი გარემო იყო, ნიკა მელიას გამოსვლის შემდეგ კი ხალხის მხრიდან აგრესია დაიწყო.

ნიკა მელიას ბრალი 20 ივნისის საქმეზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მისი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით აქვს წარდგენილი

# გალფის ოპერატორის გაძარცვისთვის ს.ე.-ს 9 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ს.ე. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 1 ოქტომბერს, თბილისში, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი ს.ე. დანით თავს დაესხა „გალფის“ ავტოგასამართი სადგურის ოპერატორს და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ავტოგასამართი სადგურის კუთვნილ თანხას.

სამართალდამცველებმა ს.ე. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ს.ე. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თბილისში თამარ მეფეზე მანქანა ავტობუსს დაეჯახა

24 ივნისს თბილისში, თამარ მეფის ხიდზე ავარია მოხდა. თვითმხილველების ცნობით, მსუბუქი ავტომობილი გაჩერებაზე მდგომ ავტობუსს შეეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა, რომლებიც მსუბუქ ავტომობილში ისხდნენ. ერთის მდგომარეობა მძიმეა.

დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს.



## ისრაელმა ციფრული შეკელი გამოუშვა



ისრაელის ცენტრალური ბანკის განცხადებით, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ქვეყანამ პირველი ციფრული შეკელი გამოუშვა.

ისრაელის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის მოადგილე ენდრიუ აბირი აცხადებს, რომ ციფრულ შეკელს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საფინანსო სექტორზე, მათ შორის, საგადასახადო ბაზარზე, კრიპტოვალუტებსა და ბლოკჩეინსისტემებზე.

– ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრით, ციფრული შეკელი საბანკო სისტემას გააქრობს, რაც მცდარი მოსაზრებაა. ცენტრალურ ბანკს არ შემოაქვს ციფრული შეკელი საბანკო სექტორის გასაქრობად. ბანკები არიან და დარჩებიან ანგარიშსწორების ძირითად საშუალებად. ციფრული შეკელი არ წარმოადგენს კრიპტოვალუტის ნაირსახეობას, – განაცხადა ენდრიუ აბირიმ.

## ამერიკელი ბიზნესმენი ესპანეთის ციხეში გარდაცვლილი იპოვეს



კომპანია მაკაფის დამფუძნებელი, ბიზნესმენი და პროგრამისტი ჯონ მაკაფი ესპანეთის ციხეში გარდაცვლილი იპოვეს.

2020 წელს ჯონ მაკაფი ესპანეთში აშშ-ის მოთხოვნით დააკავეს. მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ ესპანეთის სასამართლომ აშშ-ში მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო.

სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს, თუმცა არსებული ინფორმაციით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას.

აშშ-ში ბიზნესმენს გადასახადის გადახდისგან თავის არიდებაში ადანაშაულებდნენ. აშშ-ის პროკურატურაში აცხადებდნენ, რომ ჯონ მაკაფიმ მილიონობით დოლარი მიიღო კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგად.

## მაიამიში 12-სართულიანი შენობა ჩამოინგრა



### 1 ადამიანი დაიღუპა, 8 დაშავდა

მაიამიში, კოლინს ავენიუზე, 12-სართულიანი შენობის ძირითადი ნაწილი ჩამოინგრა.

მაშველებმა ნანგრევებში 1 გარდაცვლილი იპოვეს, სხეულის სხვადასხვა დაზიანება კი, სულ მცირე, 8 ადამიანმა მიიღო.

შენობის ჩამონგრევის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## რუსთაველის თეატრი მოსკოვში სამ სპექტაკლს ითამაშებს




რუსთაველის ეროვნული თეატრი მოსკოვში ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე რობერტ სტურუას სპექტაკლს „თამაშის დასასრული“ წარადგენს. სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება სამჯერ – 30 ივნისს და 1, 2 ივლისს.

ანტონ ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი პირველად 1992 წელს ჩატარდა. თავისი 30-წლიანი ისტორიით ჩეხოვის ფესტივალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა უკლებლივ ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია თეატრი.

სხვადასხვა წლებში ჩეხოვის ფესტივალზე სპექტაკლები წარმოადგინეს მსოფლიოში სახელგანთქმულმა რეჟისორებმა: პიტერ ბრუკმა, ჯორჯო სტრელერმა, პიტერ შტაინმა, კამა გინკასმა, რეზო გაბრიაძემ, პინა ბაუშმა, რიმას ტუმინასმა, ეიმუნტას ნეკროშუსმა, ტადაში სუძუკმა, რობერტ სტურუამ, ვიქტორია ჩაპლინმა, ჟან-ბაპტისტ ტიერმა, ალექსანდრ ეკმანმა, რობერტ ლეპაჟმა, კლაუდიო ჰოფმანმა, აკრამ ხანმა, დეკლან დონელანიმ...

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა იაპონური, ბრაზილიური, კანადური თეატრების სეზონები. წლების განმავლობაში ჩეხოვის ფესტივალი თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ავსტრია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ტაივანი, არგენტინა...

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ესპანეთის, არგენტინის, საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ისრაელის, იტალიის, ინდოეთის, იაპონიისა და საქართველოს თეატრალური დასები.

## ნიკა ქავთარაძე: „სხვების ბედნიერებაზე დგას ჩემი ბედნიერება“



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე არ მალავს, რომ ბედნიერებისთვის ძალიან ცოტა სჭირდება – სხვების ბედნიერებაზე დგას მისი ბედნიერება:

– ყველა კეთილ, პატიოსან, კაცთმოყვარე, თავისუფალ, შრომისმოყვარე ადამიანს გაგიმარჯოთ ღმერთმა. ასეთი ხალხის ქვეყანაა საქართველო და არ დაუჯეროთ არავის, ვინც საწინააღმდეგოში გარწმუნებთ.

საუკეთესო კვირა გქონდეთ, რაც კი აქამდე გქონიათ – ყველას, ვისაც გიცნობთ, ვისაც არ გიცნობთ, ვინც მიყვარხართ, ვისაც გიყვარვართ. ვისაც არ გიყვარვართ, იმათ კიდევ უფრო მეტ კარგ განწყობას გისურვებთ, თქვენი წარმატება კიდევ უფრო საჭიროა, რომ არავისზე იყოთ გაბრაზებული და სიცოცხლით დატკბეთ.

მე მართლა ცოტა მჭირდება ბედნიერებისთვის – სხვების ბედნიერებაზე დგას ჩემი ბედნიერება.

## ხატია წერეთელს ფულს სთხოვენ



მომღერალი ხატია წერეთელი შეაწუხეს იმ თავხედმა ადამიანებმა, ვინც გამუდმებით ფულს სთხოვენ:

– ხანდახან მაოცებს იმ ადამიანების ალოგიკურობა, ჩვეულებრივად, ნაგლად 500, 1000 ლარს მთხოვენ.

შეიძლება მე არ მიჭირს ჩემი სამყოფი ფინანსები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გადასაყრელად მაქვს ფული. ხალხო, პანდემიაა და ნომერი პირველი, შოუბიზნესს დაარტყა ყველაზე მეტად. გარდა ამისა, მე მყავს ახლობლები, რომლებსაც უჭირთ და ვეხმარები და ეს არც ერთია, არც ორი და არც ათი.

და უჭირთ ელემენტარული საარსებო ფული, ხელში 1000 ლარიანზე მეტი ტელეფონი გიკავია, არც ჩაცმას იკლებ, არც დროს ტარებას და მე მეწუწუნები. ნორმალურები ხართ საერთოდ?

ანუ მე უნდა ვიმუშაო დილიდან ღამემდე, შენ იგულავო და ეს დაგიფინანსო? იმიტომ, რომ აფერისტობა და მანიპულირება შეგიძლია? აბა, ახლა მიმაბულინგეთ მსგავსი აფერისტების ხროვამ.

სპორტი

## თბილისის დინამომ სამგურალს მესამედაც ვერ მოუგო და ლიდერობა დაკარგა

### დინამო (თბ)-სამგურალი 1:2

**თბილისი. დინამო არენა**

**0:1 ლექვთაძე (1), 0:2 ფონიავა (17), 1:2 გაბედავა (60პ)**

**დინამო**: კვასხვაძე, ბენიო, მონხილი (თ.ახვლედიანი 69), კობოური, პაპავა (რადინი 46), მექვაბიშვილი (ქარდავა 56), კუცია, ხარაბაძე (სპორქსლედე 56), მორჩილაძე, ქავთარაძე (მარუშიჩი 46), გაბედავა

**სამგურალი**: ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი, კუხიანიძე, ფონიავა (ი.ახვლედიანი ), კირკიტაძე (ვერულიძე 88), კალანდარიშვილი, ქურდაძე, ლექვთაძე (თევზაძე 70), ბურჯანაძე (ბანძელაძე 70), კიკაბიძე

**გაძევება:** გილმორი (67)

ეროვნული ლიგის მე-19 ტურში თბილისის დინამომ მთავარი კონკურენტის ქულების დაკარგვა ვერ გამოიყენა. დედაქალაქელებმა წყალტუბოს სამგურალთან გამართული მატჩი 1:2 წააგეს. მიმდინარე სეზონში დინამო და სამგურალი ერთმანეთს მესამედ დაუპირისპირდნენ. 2 შეხვედრა იმერლების გამარჯვებით დასრულდა ხოლო ერთ მატჩში ფრე დაფიქსირდა.



პირველი ტაიმის შემდეგ სოსო ფრუიძის გუნდი მოქმედ ჩემპიონებს 2-ბურთიანი სხვაობით ამარცხებდა. მატჩის პირველივე წუთზე ანგარიში ირაკლი ლექვთაძემ გახსნა, ხოლო მე-17 წუთზე უპირატესობა ორამდე პაპუნა ფონიავამ გაზარდა.

შესვენების შემდეგ სტუმართა კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი გიორგი გაბედავამ ზუსტად შეასრულა და სხვაობა შეამცირა. რამდენიმე წუთში დედაქალაქელებმა რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს. 67-ე წუთზე მატჩის მთავარმა არბიტრმა ლუქმან გილმორი გააძევა. ამის მიუხედავად, დარჩენილ დროში დინამომ ანგარიშში კორექტივების შეტანა ვერ მოახერხა და 3 ქულა დაკარგა.

ამ დროისთვის თბილისის დინამოს 38 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-2 პოზიციაზეა, სამგურალი კი, 27 ქულით მე-6 ადგილს იკავებს.

### თელავი-სამტრედია 2:1

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

**1:0 ბაშელეიშვილი (56), 1:1 ილურიძე (58), 2:1 ციცქიშვილი (90)**

თელავი რუსთავში დაუხვდა სამტრედიას და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა – კახურმა გუნდმა 2:1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ თელაველებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში საქმე გაიუმჯობესეს.

სამტრედიასთან ანგარიში მასპინძლებმა 56-ე წუთზე მიხეილ ბაშელეიშვილის მიერ გატანილი გოლით შეძლეს. მართალია, 2 წუთში გიორგი ილურიძემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მატჩის კომპენსირებულ დროში თელავმა მაინც შეძლო 3 ქულის მომტანი გოლის გატანა. გამარჯვების გოლი ზაზა ციცქიშვილმა შეაგდო.

19 ტურის შემდეგ თელავი 15 ქულით მე-9 ადგილზეა, სამტრედია კი, 10 ქულით ბოლო პოზიციაზე იმყოფება.

### საბურთალო-ლოკომოტივი 1:2

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 სიხარულიძე (45), 0:2 გოჩოლეიშვილი (46), 1:2 მჭედლიშვილი (89)**

**საბურთალო**: გოშაძე, მალი, ჯგერენაია, კაკუბავა, მუდრაკი, ლაცაბიძე (ჯინჯოლავა 74), ტერა, მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 46), ძებნიაური, ი.ტაბატაძე (გულიაშვილი 78), გოჩოლეიშვილი (შულაია 78)

**ლოკომოტივი:** მამარდაშვილი, სანდოხაძე, ანდრონიკაშვილი (ჭიაბრიშვილი 84), გაბაძე (მჭედლიშვილი 78), უბილავა, შონია, დარცმელია, სამურკასოვი (გავაშელიშვილი 84), კირკიტაძე (კახაბრიშვილი 87), იმრანი, სიხარულიძე

მიხეილ მესხზე გამართული თბილისური დერბის პირველი ტაიმის შემყურე, ვერავინ იფიქრებდა თუ ამ მატჩში 3 გოლი გავიდოდა. აქედან 2, ლოკომოტიველებმა გაიტანეს და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე აინაცვლეს.

მაშინ, როცა შესვენებაზე გასასვლელად ყველა მსაჯის სასტვენს ელოდებოდა, ლოკომოტიველების კარგი კომბინაცია გოლით ირაკლი სიხარულიძემ დაასრულა და გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი გასახდელში ერთბურთიანი უპირატესობით გავიდა.

თუმცა, გიორგი მამარდაშვილის კარში გოლი მეორე ტაიმის საწყის წუთებშივე გავიდა. 47-ე წუთზე, წონასწორობა გიორგი გოჩოლეიშვილმა აღადგინა.

ყველაფერი ისეთი სცენარით მიდიოდა, რომ ფრე ლოგიკურ შედეგად მოჩანდა, თუმცა, 89-ე წუთზე, შეტევებით გართულ საბურთალოელებს კონტრშეტევა გაეპარათ. ირაკლი ჭიაბრიშვილის სწრაფი დრიბლინგი საჯარიმოში გაკეთებული პასით დასრულდა, რომლის ჩაჭრა მცველმა სცადა და მისგან ასხლეტილი ბურთი რატი მჭედლიშვილს მიუვიდა და...

ლოკომოტივმა აქტივში უმნიშვნელოვანესი 3 ქულა ჩაიწერა და საბურთალოს 2 ქულით გადაასწრო.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 19 | 11 | 6 | 2 | 35-12 | 39 |
| 2.დინამო (თბ) | 19 | 12 | 2 | 5 | 30-15 | 38 |
| 3.ლოკომოტივი | 19 | 10 | 3 | 6 | 33-28 | 33 |
| 4.საბურთალო | 19 | 8 | 7 | 4 | 27-20 | 31 |
| 5.დილა | 19 | 8 | 5 | 6 | 20-18 | 29 |
| 6.სამგურალი | 19 | 7 | 6 | 6 | 19-21 | 27 |
| 7.ტორპედო | 19 | 3 | 10 | 6 | 18-20 | 19 |
| 8.შუქურა | 19 | 3 | 7 | 9 | 14-26 | 16 |
| 9.თელავი | 19 | 3 | 6 | 10 | 14-31 | 15 |
| 10.სამტრედია | 19 | 2 | 4 | 13 | 17-36 | 10 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სიცილიაზე მეფუნთუშე კბილის ექიმად მუშაობდა

იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა სიცილიაზე იატაკქვეშა კბილის ექიმი აღმოაჩინა, რომელიც საბუთებით მეფუნთუშედ ირიცხებოდა.

იტალიის ფინანსური გვარდიის მონაცემებით, მამაკაცთან მიმართებაში გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც სამართალდამცავმა ორგანოებმა შენიშნეს, რომ მის ბინაში საეჭვოდ დიდი რაოდენობით ადამიანი იყრიდა თავს. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თაღლითს, რომელიც მცხობლის სტატუსით სარგებლობდა, საკუთარ სახლში კბილის ექიმის კაბინეტი ჰქონდა მოწყობილი, ყველა საჭირო აპარატურით, მათ შორის კბილის ტექნიკის ლაბორატორიით და სადაც დაცული არ იყო სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად იატაკქვეშა კბილის ექიმს საკუთარი მუდმივი კლიენტები ჰყავდა, მიღებაზე ჩაწერა კი ტელეფონით ხორციელდებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გოგა ჩართოლანი: „შეიცვალოს სახელოვნებო მეცნიერების მიმართულებების სახელწოდებები“



თეატრმცოდნე გოგა ჩართოლანი მიიჩნევს, რომ დადგა დრო, გადაიხედოს და შეიცვალოს სახელოვნებო მეცნიერების მიმართულებების სახელწოდებები:

– მგონი დადგა დრო, გადაიხედოს და შეიცვალოს სახელოვნებო მეცნიერების მიმართულებების სახელწოდებები. ვფიქრობ, თავის დროზე რუსულიდან თარგმნილი ეს სახელდებები უნდა თანამედროვე დასავლური მოდელის შესაბამისი გავხადოთ.

საქმე ამაშიც არაა მხოლოდ. თავად ეს სახელწოდებები არ არის მართებული. ვსაუბრობ, თეატრმცოდენობაზე, კინომცოდნეობაზე, ხელოვნებათმცოდენობასა და ყველა სხვა მცოდნეობაზე. რას ნიშნავს ეს? ანუ, მხოლოდ ამგვარი დიპლომის მქონე ადამიანებმა ვიცით თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება და სხვამ, ვინც ამ დარგებში პროდუქციას ქმნის, იმან არ იცის?

რეჟისორმა არ იცის თეატრი და კინო და ჩვენ ვიცით? კომპოზიტორმა არ იცის მუსიკა და ჩვენ ვიცით? ამასთან, ეს მცოდნეობები ასეთი სახით ვერც ითარგმნება სხვა ენაზე. ამას ისიც ემატება, რომ მუდმივად არის სრულიად სამართლიანი „წამოძახება“ პრაქტიკოსი ხელოვანების მხრიდან, რომ კრიტიკოსები თუ მკვლევარები არ არიან მხოლოდ ამ დარგების მცოდნეები.

მოკლედ, შემოვდივარ წინადადებით, შეიცვალოს ეს სახელწოდებები და მათ ნაცვლად შემოვიდეს უფრო კონკრეტული და მართებული შესატყვისები. მაგალითად, ხელოვნების მკვლევარი და კრიტიკოსი. შესაბამისად, ყველა დარგობრივი მიმართულების მკვლევარი და კრიტიკოსი. იქნებ, გვემსჯელა ამ საკითხზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ყველა მერვედფინალისტი ცნობილია

## პორტუგალია-საფრანგეთი 2:2

**ბუდაპეშტი. პუშკაშ არენა**

**1:0 რონალდუ (30პ), 1:1, 1:2 ბენზემა (45პ, 47), 2:2 რონალდო (60პ)**

**პორტუგალია:** პატრისიო, სემედუ (დალოტი 79), რ.დიაში, პეპე, გერეირო, მოუტინიო (ნევეში 72), დანილო (პალინია 46), რ.სანჩესი (ოლივეირა 88), ბ.სილვა (ფერნანდეში 72), რონალდო, ჟოტა

**საფრანგეთი:** ლორისი, კუნდე, ვარანი, კიმპემბე, ერნანდესი (დინი 46, რაბიო 52), პოგბა, კანტე, ტოლისო, გრიზმანი (სისოკო 86), მბაპე, ბენზემა

გასული ევროპირველობის ფინალისტები ერთმანეთს ამჯერად ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარნენ და მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. დუბლით გამოირჩნენ ყოფილი თანაგუნდელები – კრიშტიანუ რონალდუ და ქარიმ ბენზემა. რონალდუმ რამდენიმე რეკორდიც დაამყარა – დიდ ფორუმებზე 20 ბურთს გადასცდა, ხოლო სანაკრებო კარიერაში 109-ე გოლი გაიტანა და ირანელ ალი დაეიოს დაეწია, რომელიც აქამდე აბსოლუტური რეკორდსმენი იყო.

მთლიანობაში საფრანგეთი უკეთ ირჯებოდა და თუ ვინმეს უნდა მოეგო, ეს დიდი დეშამის გუნდი იყო. თუმცა, მათთვის ქულაც საკმარი იყო, ამიტომაც თავი დიდად არ მოუკლავთ და სასურველი შედეგი დააფიქსირეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ქარიმ ბენზემა

5-წლიანი პაუზის შემდეგ ბენზემა ნაკრებს დაუბრუნდა და საკუთარი გოლებითაც დაეხმარა. პირველი 11 მეტრიდან, ტაიმის ბოლოს, მეორე, როგორც კი მეორე ტაიმი დაიწყო და თავისიანები წინ გაიყვანა.

## გერმანია-უნგრეთი 2:2

**მიუნხენი. ალიანც არენა**

**0:1 სალაი (11), 1:1 ჰავერცი (66), 1:2 შაფერი (68), გორეცკა (84)**

**გერმანია:** ნოიერი, გინტერი (ფოლანდი 82), ჰუმელსი, რუდიგერი, კიმიხი, გუნდოგანი (გორეცკა 58), კროოსი, გოსენსი (მუსიალა 82), ჰავერცი (ვერნერი 67), სანე, გნაბრი (მიულერი 68)

**უნგრეთი:** გულაჩი, ნეგო, ბოტკა, ორბანი, ატ.სალაი, ფიოლა (ნიკოლიჩი 88), კლიაინჰაისლერი (ლოვრენჩიჩი 88), ნადი, შეფერი, ად.სალაი (ვარგა 82), შალაი (შენი 75)

გერმანიის ნაკრები ახლოს იყო ფიასკოსთან. ამასთან, საკუთარი მაყურებლის თვალწინ. თამაშის კარნახი უნგრეთმა დაიწყო და სწრაფი გოლიც გაიტანა – შალაიმ ეფექტური გოლი შეაგდო.

ჩამორჩენილი გერმანია თითქმის მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ვერაფერს აკეთებდა და სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ შეუტია და ისიც სტანდარტული მდგომარეობიდან.

შესვენების შემდეგ უნგრელებმა გააგრძელეს ანგარიშზე თამაში, მაგრამ თანდათან დაღლილობა დაეტყოთ, რამაც ბოლოს იქონია გავლენა და მხოლოდ ფრეს გამორჩნენ. შედეგად, გერმანია, მეორე ადგილით გავიდა, ხოლო უნგრელები ჯგუფში ჩარჩნენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი –** ადამ სალაი

უნგრელთა კაპიტანმა ყველაფერი გააკეთა, რომ გუნდს გამარჯვებაში დახმარებოდა – გაიტანა გოლი და გააკეთა საგოლე პასი, მაგრამ მისი გარჯა თანაგუნდელებმა გააუფასურეს.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 2.გერმანია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 3.პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 4 |
| 4.უნგრეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |



## ესპანეთი-სლოვაკეთი 5:0

**სევილია. ოლიმპიკო**

**1:0 დუბრავკა (30სკ), 2:0 ლაპორტი (45), 3:0 სარაბია (56), 4:0 ფ.ტორესი (67), 5:0 კუცკა (71სკ)**

**მე-10 წუთზე მორატამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)**

**სლოვაკეთი:** დუბრავკა, პეკარიკი, სატკა, შკრინიარი, ჰუბოჩანი, ჰარასლინი (სუსლოვი 69), კუცკა, ჰრომადა (ლობოტკა 46), მაკი (ვაისი 69), ჰამშიკი (ბენეში 90), დუდა (ძიურიში 46)

**ესპანეთი:** სიმონი, ასპილიკუეტა (ოიარსაბალი 77), ე.გარსია (პ.ტორესი 71), ლაპორტი, ალბა, კოკე, ბუსკეტსი (ალკანტარა 71), პედრი, სარაბია, მორატა (ფ.ტორესი 66), მორენო (ტრაორე 76)

ესპანეთის ნაკრებს დასაკარგი არაფერი ჰქონდა. კიდევ ერთი წაფორხილება და ფლეი ოფის მიღმა აღმოჩნდებოდა. თუმცა, სევილიაში, საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ სირცხვილი ნამდვილად არ სურდათ.

მიუხედავად მატჩის დასაწყისში გაცუდებული პენალტისა, ლუის ენრიკეს შეგირდება 5 უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს და მშვიდად გავიდნენ ფლეი ოფში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – პაბლო სარაბია

ამ მატჩში საუკეთესოდ დასახელებისთვის, აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად იქნება, ჩვენ კი, პარი სენ-ჟერმენის ნახევარმცველი გამოვარჩიეთ, რომელიც ძალიან აქტიური იყო და მუდმივად აწუხებდა მეტოქეს. გოლის გატანაც შეძლო.

## შვედეთი-პოლონეთი 3:2

**სანკტ-პეტერბურგი. სანკტ-პეტერბურგ არენა**

**1:0, 2:0 ფორსბერგი (2, 59), 1:2, 2:2 ლევანდოვსკი (61, 84), კლასონი (90)**

**შვედეთი:** ოლსენი, ლუსტიგი (კრაფტი 68), ლინდელოფი, დანიელსონი, აუგუსტინსონი, ლარსონი, ეკდალი, ოლსონი, ფორსბერგი (კლასონი 77), ქუასონი (კულუშევსკი 55), ისაკი (ბერგი 68)

**პოლონეთი:** შჩესნი, ბერეშინსკი, გლიკი, ბედნარეკი, იუზვიაკი (სვიერჩოკი 61), კრიხოვიაკი (პლახეტა 78), კლიხი (კოზლოვსკი 73), პუხაჩი (ფრანკოვსკი 46), შვიდერსკი, ჟელინსკი, ლევანდოვსკი

პოლონეთის ნაკრებს აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვება, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხა.

პოლონელები ფორსბერგის დუბლის შემდეგ 2 ბურთით ჩამორჩნენ, მაგრამ მათმა ლიდერმა, რობერტ ლევანდოვკიმ თანაფარდობა აღადგინა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მაინც გაუშვა და მერვედფინალში გასვლა ვერ შეძლო.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რობერტ ლევანდოვსკი

ბევრი იბრძოლა პოლონელთა ლიდერმა, პირველ ტაიმში ორჯე კარის ჩარჩოც შეაზანზარა, მეორეში სულაც დუბლი გაახერხა, მაგრამ მისი ჩინებული გარჯა არ დაფასდა.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2.ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 5 |
| 3.სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |
| 4.პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

**ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ მერვედფინალური წყვილები ასე დალაგდა:**

უელსი-დანია; იტალია-ავსტრია; ნიდერლანდები-ჩეხეთი; ბელგია-პორტუგალია; ხორვატია-ესპანეთი; საფრანგეთი-შვეიცარია; ინგლისი-გერმანია; შვედეთი-უკრაინა.

**მეოთხედფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ამ წყვილებში გამარჯვებულები:**

საფრანგეთი/შვეიცარია-ხორვატია/ესპანეთი; ნიდერლანდები/ჩეხეთი-უელსი/დანია; ბელგია/პორტუგალია-იტალია/ავსტრია; შვედეთი/უკრაინა-ინგლისი/გერმანია.

# გოგონებმა უიმბლდონი დატოვეს



ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ უიმბლდონის ძირითად ბადეში გასვლა ვერ მოახერხა.

კვალიფიკაციის პირველ წრეში ბრიტანელ ევა შოუსთან (6:2, 6:2) გამარჯვების შემდეგ, ჩვენებური ამერიკელი კრისტი ანისთან დამარცხდა – 2:6, 3:6.

შეგახსენებთ, რომ ტურნირს უფრო ადრე მარიამ ბოლქვაძე გამოეთიშა, ვინაც საკვალიფიკაციოს პირველ წრეში რუს ვარვარა ფლინკთან წააგო – 4:6, 6:2, 4:6.

შედეგად, უიმბლდონის გათამაშებას 2 ქართველი ჩოგბურთელიღა შემორჩა: ნიკოლოზ ბასილაშვილი კაცების ერთეულთა ბადეში ითამაშებს და პირველი მეტოქის ვინაობას 25 ივნისს შეიტყობს. ოქსანა კალაშნიკოვა კი, ქალთა წყვილებში ითამაშებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველოს ნაკრები ნიდერლანდებთან მატჩს მოსამზადებლად გამოიყენებს



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 26 ივნისს თელავში, ნიდერლანდებს დაუხვდება და რაგბი ევროპის თასს ჩაიბარებს. თამაშამდე „ბორჯღალოსნებმა" მარტყოფში ღია ვარჯიში გამართეს.

ვარჯიში საათზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა და ორმხრივი თამაშით დასრულდა. ტრავმებმა და პანდემიამ „ბორჯღალოსნების" მზადებას თავისი კვალი დაატყო, რასთან დაკავშირებითაც მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა განაცხადა.

**ლევან მაისაშვილი:**

– მე-2 კვირაა შეკრებაზე ვართ და ვერ ვიტყვი, რომ მას სასურველ კონდიციებში შევხვდით. ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მორაგბე დაგვაკლდა. უშუალოდ შეკრების წინ, რამდენიმემ კოვიდ 19 გადაიტანა და პროტოკოლის თანახმად, მათ რეაბილიტაცია ცალკე გაიარეს. პირველი კვირა ჯგუფებად დაყოფილი ვვარჯიშობდით, შემდეგ კი, გუნდურად ორჯერ ვივარჯიშეთ და შეთამაშების პროცესში ვართ. კარგია, რომ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე ნიდერლანდებს ვხვდებით და მას გარკვეულწილად მოსამზადებლად გამოვიყენებთ. იმედი მაქვს გუნდი თავდაჯერებულობას მოიპოვებს და თამაშებს მომზადებული შევხვდებით.

ნიდერლანდებთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება და მსოფლიოს ჩემპიონ ნაკრებთან 2 და 9 ივლისს ორ თამაშს გამართავს, ხოლო 17 ივლისს თბილისში შოტლანდიას უმასპინძლებს.

**ვასილ ლობჟანიძე:**

– მე-2 კვირაა, რაც ზაფხულის ტესტ-მატჩებისთვის ვემზადებით. სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონს 2-ჯერ შევხვდებით, შემდეგ კი, შოტლანდიას თბილისში ვმასპინძლობთ. ქართული რაგბის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ზაფხულის ტესტებზე ტიერ 1-ის გუნდებთან ზედიზედ 3 მატჩს გავმართავთ. მივიღებთ ძალიან დიდ გამოცდილებას და მიუხედავად იმისა, რომ რთული მოსამზადებელი პერიოდი გვაქვს, ვიმედოვნებ, კარგ შედეგს ვაჩვენებთ. გავდივართ როგორც ფიზიკურ მომზადებას, ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობთ ტექნიკურ მხარეს.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 4. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ჰოლივუდის ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ციტრუსოვანი მცენარე თურინჯის მეორე სახელწოდება; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი, სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ცხენის მოსართავი; 15. უბანი თბილისში; 16. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია.

**თარაზულად:** 1. კომბინაცია პოკერში; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 9. მხარე ავსტრიაში; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 13. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. მთავრობის წევრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. ბალასტი; 9. ბანკო; 11. ტალანტი; 15. ინტერპოლი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდარი; 22. აბრაგი.

**თარაზულად:** 5. გენლაინი; 7. ასპინძა; 8. ოპტიკა; 10. შამგონა; 12. ჭოუხი; 13. იჯარა; 14. რეველოტი; 18. სააბი; 20. ნევადა; 23. იბერია; 24. ყუში; 25. ყულევი; 26. გალო; 27. ბროკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯანი; 2. იურტა; 3. ბრინჯი; 5. ყანწი; 6. ჭიაურელი; 8. იანქოშვილი; 10. ლიპტონი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ბეტისი; 16. სეიკო.

**თარაზულად:** 1. ჯორჯია; 4. ტყაპუჭი; 7. უჯრედი; 9. ჯეჯილი; 11. ანკალია; 12. სკალელი; 13. სტრიპი; 17. მელაძე; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. ლინოტიპი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1549

ევრო — 3.7695

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4055

100 რუსული რუბლი — 4.3435

## ამინდის პროგნოზი 25 ივნისისათვის




## ბენზემა: „ჩემზე დიდ ზეწოლას ვგრძნობ“

მადრიდის რეალის და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კარიმ ბენზემამ განაცხადა, რომ ის გულშემატკივრისგან დიდ ზეწოლას გრძნობს და მზად არის, მათ იმედები არ გაუცრუოს. ბენზემას თქმით, მან იცის, თუ როგორ მიაღწიოს წარმატებას ნაკრებთან ერთად:

– მინდა, რომ გულშემატკივარი გავახარო და ევროპის ჩემპიონატი მოვიგო, თუმცა კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება რთული იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ყველა წინააღმდეგობა დავძლიოთ.

## მესი 34 წლის გახდა




არგენტინის ნაკრების და ბარსელონას ლეგენდა ლიონელ მესი 24 ივნისს 34 წლის გახდა. ამჟამად მესი კოპა ამერიკაზე იმყოფება, სადაც არგენტინა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მესი კარიერის დასრულებას ჯერჯერობით არ აპირებს და, მისი თქმით, ის კარგ ფორმაშია.

აღსანიშნავია, რომ მესის ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ გუნდში დარჩენას აპირებს.

## ალეგრი იუვენტუსში რამდენიმე ტრანსფერს ითხოვს

იუვენტუსის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა რომ მას გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი სჭირდება და ერთ-ერთი მათგანი მილანის მცველი ალესიო რომანიოლია, რომელშიც მილანი მინიმუმ 30 მილიონს ითხოვს.

თუ იუვენტუსმა ეს თანხა არ გადაიხადა, მაშინ ალეგრის სხვა მცველის მოძებნა მოუწევს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ჰყავს რამდენიმე კანდიდატურა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პრინცესა დიანას მეგობარმა მისი უკანასკნელი სურვილი გაამხილა



პრინცესა დიანას ახლო მეგობარმა, ჟურნალისტმა რიჩარდ კეიმ მისი დაღუპვის წინ მასთან პირადი საუბრის დეტალებზე ისაუბრა.

კეი იყო უკანასკნელი ადამიანი, რომელსაც დიანა ტელეფონზე ესაუბრა. მეგობრების საუბარი ავტოკატასტროფამდე მცირე ხნით ადრე, ღამით შედგა. მათ იმსჯელეს მომავალზე. იმ დროისთვის ერთი წელი იყო გასული დიანას პრინც ჩარლზთან დაშორებიდან და ის აპირებდა პირად ცხოვრებაზე ზრუნვა დაეწყო.

– მე მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა ამავდროულად ის სასოწარკვეთილიც იყო, – აცხადებს 60 წლის ჟურნალისტი.

თუმცა ყველაზე მეტად დიანას თავისი შვილების პრინც უილიამის და პრინც ჰარის ნახვა სურდა. ის ხშირად იმეორებდა, რომ ბავშვები ენატრებოდა და დიდ ბრიტანეთში დაბრუნებასა და მათთან ჩახუტებაზე ოცნებობდა.

– ის სასოწარკვეთით ცდილობდა ყველაფრის თავიდან დაწყებას და სხვა რაიმეს გაკეთებას, რათა სამეფო ოჯახი სხვა მხრიდან დაენახა, – ხაზგასმით აღნიშნა კეიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 25 ივნისისათვის



**ვერძი** – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ფსიქიატრთან იყავი?

– ვიყავი.

– და რა გითხრა?

– ფსიქიკური დაავადებები არ გაქვს, უბრალოდ, მხიარული სულელი ხარო...

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– აბა, ბავშვებო, თქვენ მე მითხარით, ჩემი სხეულის რომელი ნაწილი მოგწონთ და მე თქვენ გეტყვით, ვინ გამოხვალთ, როცა გაიზრდებით. აი, მაგალითად, შენ, ლევან, ჩემი სხეულის რომელი ნაწილი მოგწონს?

– თმები, მასწავლებელო.

– შენ სტილისტი იქნები. და შენ რას მეტყვი, თემურ?

– თქვენი კანი მომწონს, მასწავლებელო.

– ჰოო, შენ კოსმეტოლოგი გამოხვალ. და აბა, შენ რას მეტყვი, გიგი?

– მე უკვე მივხვდი, მასწავლებელო, მწველავი ვიქნები...

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როდის დასრულდება კორონავირუსის პანდემია?

– არ ვიცი, პოლიტიკა არ მაინტერესებს.

●●●

ქალი მღვდელს აღსარებას აბარებს და ეუბნება:

– მამაო, ქმარს ვუღალატე...

– რამდენჯერაც უღალატე, იმდენჯერ შემოუარე გარშემო ეკლესიას!

– კარგით, მამაო, მხოლოდ წავალ და ველოსიპედს მოვიტან!

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემმა ცოლმა ხმა დაკარგა და რა ეშველება?

– დღეს შეეცადე ღამის სამ საათზე დაბრუნდე სახლში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ლევან კოღუაშვილის ფილმმა ამერიკაში გაიმარჯვა




რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმმა „მეოთხე ბრაიტონი“ ამერიკაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

ნიუ იორკმა ტრიბეკას კინოფესტივალს უმასპინძლა. ქართველი რეჟისორის ნამუშევარმა 3 მთავარი ჯილდო მოიპოვა. „მეოთხე ბრაიტონი“ მხატვრული ფილმების კონკურსში დაჯილდოვდა საუკეთესო ფილმისთვის და საუკეთესო სცენარისთვის, ხოლო ლევან თედიაშვილი კი საუკეთესო მსახიობად დასახელდა.

ფილმში მთავარ როლებს გიორგი ტაბიძე და ლევან თედიაშვილი ასრულებენ. ფილმში ასევე მონაწილეობს ირაკლი კავსაძე, ცუცა კაპანაძე, კახი კავსაძე. ლევან კოღუაშვილის ფილმი კახი კავსაძისთვის უკანასკნელი ნამუშევარი აღმოჩნდა.

ლევან კოღუაშვილმა ფილმი ქართველ ემიგრანტებს მიუძღვნა.

## რეზო ამაშუკელი 85 წლისაა



პოეტი რეზო ამაშუკელი 85 წლის გახდა. იუბილე ხელოვანმა პანდემიის გამო მოკრძალებულად აღნიშნა. მას სახლში კულტურის მინისტრი ეწვია და იუბილე პირადად მიულოცა.

რევაზ ამაშუკელის ლექსები გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იბეჭდება და იგი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალებში „ცისკარი“, „მნათობი“, „ლიტერატურნაია გრუზია“, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, შოთა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ასევე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე.

იუბილარი პოეტი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ორდენის, ღირსების ორდენის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიისა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მფლობელია.

## თენგიზ აბულაძის „მონანიებას“ კანის კინოფესტივალზე აჩვენებენ





თენგიზ აბულაძის ფილმს „მონანიება“ 34 წლის შემდეგ კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე კიდევ ერთხელ აჩვენებენ.

კინოფესტივალზე ფილმი წარმოდგენილი იქნება სექციაში „კანის კლასიკა“. „მონანიების“ მსოფლიო პრემიერა სწორედ კანში გაიმართა 1987 წელს. ფილმმა კინოფესტივალის 3 ჯილდო მოიპოვა – ჟიურის „დიდი პრიზი“, „ფიპრესის“ ჯილდო და კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის. 1988 წელს კი „მონანიება“ ნომინირებული იყო „ოქროს გლობუსზე“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში.

ფილმში მთავარ როლებს ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები ავთო მახარაძე, ია ნინიძე, მერაბ ნინიძე, ზეიკო ბოცვაძე, ბორის წიფურია, დავით გიორგობიანი და ქეთი აბულაძე ასრულებენ.

კანის კინოფესტივალი ფილმებს უმაღლესი ხარისხის ციფრული ფორმატით აჩვენებს, ამიტომ ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გასულ წელს დაიწყო ფილმის აციფვრა-რესტავრაცია. შესასრულებელი სამუშაოების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ფილმის სკანირება განხორციელდა პრაღაში, ჩეხურ სტუდიაში. ე.წ. გრეიდინგი, ფერის და ხმის დამუშავება კი განხორციელდა საქართველოში, სტუდია „ფონოგრაფის“ მიერ პაატა გოძიაშვილის ხელმძღვანელობით.

სექცია „კანის კლასიკა“ 2004 წლიდან არსებობს და იგი კინოფესტივალის სტუმრებს მსოფლიოში გამორჩეული, ლეგენდარული რეჟისორების ძველ ფილმებს სთავაზობს, რათა კიდევ ერთხელ მოხდეს ამ ნამუშევრების ხელახალი აღმოჩენა.

## გიზო კაკაურიძეს იპოლიტე ხვიჩიას პრემია მიანიჭეს

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს გიზო კაკაურიძეს იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემია მიანიჭეს.

შემოქმედებითი კავშირი-საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, ჯილდო მსახიობმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის მიიღო.

გიზო კაკაურიძეს კუთვნილი ჯილდო ფესტივალის „თეატრალური იმერეთი 2021“ ფარგლებში გადაეცა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მწყრის მართვე; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. სახელმწიფო სკანდინავიაში; 4. ცირკის მასხარა; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 9. აღმოსავლური, ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. პროვინცია ბელგიაში; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. ქართული სუფრის ხელმძღვანელი; 17. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 19. ჩრდილოეთ ირლანდიის ძველი სახელწოდება; 21. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 22. პოლიტიკური პარტია ისრაელში.

**თარაზულად:** 5. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 7. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 10. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 12. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 14. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 18. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 20. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 23. ანსაბლ „როლინგსტოუნზის“ ლიდერი; 24. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 25. ბრიტანული ყველი; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგოდ საბრძოლო სამხედრო გემი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

